თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ. თელავი 2020 წლის 28 მაისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა მამუკელაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ქიზიყელაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი, ლევან ლილუაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: ლ.კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** ლევან კოჭლოშვილმა მიმართა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსს გაეკეთებინა განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გიორგი ენუქიძემ განაცხადა, რომ პროექტი მიზნად ისახავს თელავის მუნიციპალიტეტში კოხრეალური იმპლანტით მოსარგებლე პირთა ფუნქციურ დამოუკიდებლობასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

კოხრეალური იმპლანტი გამოცდილი და ხარჯთეფექტური მაღალტექნოლოგიური პროდუქტია, რომელსაც ,,ხელოვნურ სმენას'' უწოდებენ.

თელავის მუნიციპალიტეტში იდენთიფიცირებულია კოხრეალური იმპლანტით მოსარგებლე 2 პირი, რომლებიც სასწრაფოდ საჭიროებენ გარე პროცესორის შეცვლას. ღირებულება კონკრეტული პროცესორის შემთხვევაში შეადგენს 19 800 და 18 550 ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შიდა იმპლანტზე მიმაგრებული გარე მეტყველების პროცესორის ღირებულების თანადაფინანსებას თითოეულ ბენეფიციარზე 10, 000 ლარის ოდენობით.

**გადაწყვიტეს:** კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე: ლევან კოჭლოშვილი.